საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4497
17/08/2022

4497-21-2-202208171126

**შპს „ეგრისი +“-ს**
**მის:** ქ. ფოთი, ნიკო ნიკოლაძის სანაპირო №45, ბინა 21
**ელ.ფოსტა:** Egrisi2018@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3898 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ფოთში, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშის გაცრა) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტის წარმოდგენის საფუძვლად მითითებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტი, თუმცა, საპროექტო ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია ნავთობპროდუქტების საცავი. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს სკრინინგის განცხადების წარმოდგენის საფუძველი;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს განთავსების GPS კოორდინატები;
- დოკუმენტში წარმოდგენილი ქვიშის ამოტუმბვისა და წყალჩაშვების GPS კოორდინატები არ ხვდება მდ. რიონზე. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

საგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო